საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/4182
01/07/2021

4182-09-2-202107010935

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის

აღმასრულებელ დირექტორს ეკა ურუშაძეს

ქალბატონო ეკა,

თქვენი მიმდინარე წლის 15 ივნისის N3-736 წერილზე, რომელიც ეხება სარგავი მასალის ხარისხის კონტროლს გაცნობებთ შემდეგს:

1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის N588 დადგენილების „ვაზის ვეგეტატიური გამრავლებისათვის საჭირო მასალების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ თანახმად (მუხლი2, პუნქტი2), რეგლამენტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სერტიფიცირებას დაქვემდებარებული ვაზის ვეგეტატიური გამრავლებისათვის საჭირო მასალებზე. ამავე დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ვაზის სარგავი მასალის სერტიფიცირება ნებაყოფილობითია და მას ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. 2020 წელს ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალის ნებაყოფილობითი სერტიფიცირების დანერგვის პროცესში კვალიფიციურობის შეფასების წესის, კვალიფიციური სანერგის შეფასების კითხვარის, კვალიფიციური სანერგეების შეფასების სავალდებულო კრიტერიუმების მოთხოვნების დაცვით, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდა 27 სანერგე მეურნოების საქმიანობის შესწავლა. 9 სანერგე მეურნეობას მიენიჭა კვალიფიციური სანერგე მეურნეობის სტატუსი, 18 მეურნეობას მიეცა შესაბამისი მითითებები. 2021 წლის ბოლოსთვის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD phase4) პროგრამის ფარგლებში,რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის ხარისხის გაუმჯობესებას, ქვეყნის მასშტაბით 7 სანერგე მეურნეობის მიერ წარმოებულ მასალას მიენიჭება CAC სერტიფიკატი. საქართველოში სასოფლო სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის ხარისხის გაუმჯობესებისა და სერტიფიცირების სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ამჟამად მიმდინარეობს FAO ს პროექტი- „ინოვაციური სამოქმედო გეგმა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში“და USAID/CNFA -ს პროექტი "ხეხილის სარგავი მასალის გაუმჯობესება სანერგე მეურნეობების სერტიფიცირების შედეგად.

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

2.საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის N553 დადგენილებით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი ბოსტნეულისა და ბაღჩეულის გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების შესახებ. საქართველოს კანონის „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „დაუშვებელია ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის საქართველოს ბაზარზე სერტიფიკატის გარეშე განთავსება“. სავალდებულო სერტფიცირებას დაქვემდებარებული სარგავი მასალის ნუსხა რომელიც მოიცავს ასევე ბოსტნეულ და ბაღჩეულ კულტურებს დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N43 დადგენილებით რომელიც ამოქმედდება 2024 წლის პირველი იანვრიდან.

3. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 აპრილის N 199 დადგენილებით დამტკიცებულია დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობები. აღნიშნული დადგენილებით, დეკორატიული მცენარეების სარგავი მასალა უნდა აკმაყოფილებდეს მცენარეთა სიჯანსაღისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 13 იანვრის 2-45 ბრძანებით დამტკიცებული სურსათის უვნებლობის,ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში სააგენტო ქვეყნის ტერიტორიაზე ახორციელებს საკარანტინო მავნე ორგანიზმების მონიტორინგს სასოფლო სამეურნეო კულტურებზე,დეკორატიულ მცენარეებზე ტყის ჯიშებზე. მონიტორინგი მოიცავს 1500 ენტომოლოგიურ, დაავადებათა გამომწვევი აგენტების და ნემატოდების ნიმუშების ლაბორატორიულ კვლევებს. საკარანტინო მავნე ორგანიზმების აღმოჩენის შემთხვევაში გატარდება საქართველოს კანონით - „სურსათის/ცხოველთა საკვების,ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ის 54-ე მუხლის შესაბამისად საკარანტინო ღონისძიებები.

სარგავი მასალის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფისათვის,სურსათის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს მუშაობა ფიტოსანიტარიული რეესტრის, მავნე ორგანიზმების ელექტრონული ბაზის, მცენარეთა დაცვის დეპარტამენტში სარგავი და სათესლე მასალის კონტროლის სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სარგავი და სათესლე მასალის სიჯანსაღეს. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით სამუშაო პროცესში ჩართულები არიან სურსათის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარე სხვადასხვა პროექტში მომუშავე საერთაშორისო ექსპერტები:

- აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა;
- ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CZECH REPUBLIC DEVELOPMENT COOPERATION) პროექტი: საქართვლოში ფიტოსანიტარიული შესაძლებლობების გაძლიერება;
- ევროკავშირის (EU) პროექტი: საქართველოში SPS და სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარების უზრუნველყოფა;

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

#3-736

15 ივნისი 2021

სურსათის ეროვნულ სააგენტოს

თემა: სარგავი მასალის ხარისხის კონტროლი

მოგეხსენებათ, რომ 2019-2020 წლებში საქართველოში ამოქმედდა შემდეგი აქტები:

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბერის დადგენილება №588: ტექნიკური რეგლამენტის – ვაზის ვეგეტატიური გამრავლებისთვის საჭირო მასალების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის დადგენილება №553: ტექნიკური რეგლამენტის – ბოსტნეულისა და ბაღჩეულის გასამრავლებელი (გარდა თესლისა) და სარგავი მასალის ბაზარზე განთავსების პროცედურების დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 აპრილის დადგენილება №199: დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე.

გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია:

1. ბიზნესოპერატორების მიერ ამ დადგენილებათა მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის თაობაზე;
2. სახელმწიფოს მიერ ამ დადგენილებათა მოთხოვნების შესრულების კონტროლის, მონიტორინგის ან ხელშეწყობის ღონისძიებების თაობაზე.

მადლობთ წინასწარ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პასუხი გამოქვეყნდება asocireba.ge ვებგვერდზე და გამოყენებული იქნება საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების მაჩვენებლების გაანგარიშებისთვის.

პატივისცემით

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საკონტაქტო პირი: ლია თოდუა, მობ: 599577959, ელ-ფოსტა: liatodua@csrdg.ge